თბილისის “დინამოს” მორიგი გამარჯვება

ლ. პ. ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონზე 15 სექტემბერს შესდგა მორიგი კალენდარული მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე. თამაშობდნენ თბილისის “დინამოსა” და ლენინგრადის “ზენიტის” გუნდები.

თამაში სწრაფი ტემპით დაიწყო, მაგრამ 15 წუთის განმავლობაში ანგარიშის გახსნა არ მოხერხდა. მე–15 წუთზე ლენინგრადელმა თავდამსხმელებმა თბილისელთა კარში გაიტანეს პირველი ბურთი. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის მთელი თამაში ლენინგრადელთა მხარეზე წარმოებდა, ტაიმის ბოლომდე ანგარიში არ შეცვლილა. თბილისელებმა ბურთის გატანის რამდენიმე აშკარა შესაძლებლობა დაკარგეს. თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა “ზენიტის” სასარგებლოდ ანგარიშით 1:0.

მეორე ტაიმში მარცხენა გარემარბი ხარბედია შესცვალა ანთაძემ. მე–5 წუთზე პაიჭაძის მიერ მიწოდებული ბურთი ანთაძემ ლენინგრადელთა ბადეში მოაქცია.

თამაში კვლავ ლენინგრადელთა მხარეზე მიმდინარეობდა. 35–ე წუთზე ანთაძემ მეორე ბურთით შეარხია “ზენიტის” ბადე. თამაშის დამთავრებას 2 წუთი აკლდა, როცა პაიჭაძემ კიდევ ერთი ბურთი გაიტანა “ზენიტის” კარში.

ამრიგად, ლენინგრადის “ზენიტთან” შეხვედრა თბილისელებმა მოიგეს ანგარიშით 3:1.

17 სექტემბერი, 1946 წ.